საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2515/01
17/03/2021

2515-01-2-202103171249

ბატონ დავით რობაქიძეს

მის: თბილისი, მუხრან მაჭავარიანის N65, ბლოკი „ბ“, ბინა 36
ელ.ფოსტა: davitirobaqidze2@gmail.com

ბატონო დავით,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 25 თებერვლის N3308 განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველი სვირის მიმდებარე ტერიტორიაზე ი/მ გივი დეკანოიძის თევზსაშენი ტბორის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ. ვინაიდან ზემოაღნიშნული განცხადება წარმოდგენილია საქმიანობის განმახორციელებლის მინდობილი პირის მიერ, მას თან უნდა ერთოდეს მინდობილობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

ამასთან გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის 21-ე პუნქტის შესაბამისად, კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 $მ^3$-ზე მეტია, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. თქვენ მიერ წარმოდგენილი განცხადებიდან დგინდება, რომ საპროექტო ტბორების ჯამური მოცულობა აღემატება 50 000 $მ^3$-ს (95000 $მ^3$), შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8

მუხლით დადგენილი წესით სამინისტროში წარმოადგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე